პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 160 (3644)

15 აგვისტო, ხუთშაბათი. 1968 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

● სტოკჰოლმი, 13 აგვისტო. დღეს აქ დაიწყო შვეციის და ჩემპიონატი თანამედროვე ხუთჭიდში. მასპინძელთა გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობენ სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდები — მეხიკოს ოლიმპიადაში გამარჯვების ძირითადი პრეტენდენტები. საბჭოთა სპორტსმენების პ. ლედნიოვის, ბ. ონიშჩენკოს, ს. შაპარნისისა და ე. სდობნიკოვისთვის ეს ტურნირი ძალთა ბოლო გამოცდაა ოლიმპიური თამაშების წინ. უნგრელებიც ოლიმპიური გუნდით ასპარეზობენ, ოღონდ მათ თავიანთი ლიდერი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ა. ბალცო აკლიათ. პირველ დღეს მეტოქეები ცხენოსნურ კროსში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. 1400-მეტრიანი ტრასა 14 წინაღობით ყველაზე კარგად გაიარა ლედნიოვმა, რომელმაც ქულათა მაქსიმუმი დააგროვა — 1100. ონიშჩენკოს ნადავლია 980 ქულა, სდობნიკოვისა — 945. უხეიროდ გამოვიდა შაპარნისი, რომელმაც მხოლოდ 70 ქულას მოუყარა თავი. ამის მიზეზია ცხენი, რომელსაც წინასწარ არ გააცნეს ტრასა. საბჭოთა გუნდმა 3025 ქულა დააგროვა და შვედებს 55 ქულით ჩამორჩა, ხოლო უნგრელებს — 45-ით.

● სტოკჰოლმი, 13 აგვისტო. ცნობილი ძალოსანი, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, „რკინის ჰავაელად“ წოდებული ტ. კონო (აშშ) დამტკიცებულია შვეციის ძალოსანთა ეროვნული გუნდის მწვრთნელად. რა თქმა უნდა, იგი მთავარ ყურადღებას მიაქცევს ბ. იუჰანსონს, რომელსაც მეხიკოში ოქროს მოსვეჭის დიდი შანსი აქვს.

● ლენინგრადი, 14 აგვისტო. მაგიდის ჩოგბურთში XI ევროპულ ახალგაზრდული პირველობის ორივე გუნდური პრიზი ჩეხოსლოვაკიას წავა: ამ ქვეყნის გოგონებმა და ჭაბუკებმა გადამწყვეტ მატჩებში დაამარცხეს ტურნირის მასპინძლები — 3:0 და 5:3. საუცხოოდ მოთამაშე 14 წლის ი. ვოშტოვამ და 16 წლის ა. გრაფოვამ მთელ მატჩში მხოლოდ ერთი პარტია წააგეს. ეს არცაა გასაკვირი: ამ გაზაფხულს ლიონში ვოშტოვამ ევროპის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა მოზრდილებში. ჭაბუკთა შორის უფრო მწვავე ბრძოლა გაჩაღდა. და მაინც, სტუმრები უფრო ძლიერი გამოდგნენ.

● რემბერტოვი, 14 აგვისტო. ვარშავის ახლოს მდებარე ამ დაბაში გაიმართა მსროლელთა სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, გდრ-ის, სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდები. სრულ ტრიუმფს მიაღწიეს საბჭოთა დინამოელებმა — მათ ყველა სახეობაში გაიმარჯვეს. სტანდარტული მცირეკალიბრიანი შაშხანით სამი მდგომარეობიდან სროლაში ი. გერასიმიონოკმა 573 ქულა დააგროვა — 7 ქულით აჯობა მეორე პრიზიორს, პოლონელ ე. პენძიშს. მსხვილკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში ე. რასკაზოვმა 586 ქულა მოაგროვა. II და III ადგილებზეც მისი თანაგუნდელები არიან — ა. კუზმინი და ა. ზაბელინი — 583-583 ქულა. საბჭოთა გუნდმა 71 ქულა მოაგროვა — 15 ქულით აჯობა „დოჟას“ (უნგრეთი).






ნახ. გ. იაშვილისა.

# მხოლოდ 94,8 პროცენტით

საქართველოს სპორტკავშირს აღებული ჰქონდა ვალდებულება, რომ 1968 წლის ოლიმპიური სპორტული ლატარიის ბილეთების რეალიზაციას მთელ რესპუბლიკაში ივლისში დაამთავრებდა. მაგრამ ეს ვალდებულება განუხორციელებელი დარჩა: 1 აგვისტოსთვის ლატარიის ბილეთების რეალიზაციის გეგმა მხოლოდ 94,8 პროცენტითაა შესრულებული. როგორც ცნობილია, ლატარიის ტირაჟის ჩატარება XIX ოლიმპიური თამაშების გახსნის დღისთვის — 12 ოქტომბრისთვის გადაიდო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ საქმისადმი პასუხისმგებლობა შეიძლება შენელდეს.

საქართველოს რიგი რაიონების სპორტკავშირებმა რეალიზაციის გეგმა ვადამდე შეასრულეს, მაგრამ ზოგიერთი სპორტკავშირი ვერ ართმევს თავს ამ საქმეს. ჩამორჩენილთა შორის არიან აფხაზეთისა და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, მესტიის, ლენტეხის, წულუკიძის, მარნეულის, საგარეჯოს, გურჯაანის, ლაგოდეხის რაიონების სპორტკავშირები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მარნეულისა და საგარეჯოს რაიონების სპორტკავშირების უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ამ საქმისადმი.

ყოველივე ეს ითქვა საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის ამასწინანდელ სხდომაზე.

მდგომარეობის დროულად გამოსწორების მიზნით პრეზიდიუმმა დასახა სათანადო ღონისძიება. აფხაზეთის ასსრ (თავმჯდომარე ჯ. გუბაზი), აჭარის ასსრ (შ. მჟავანაძე), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის (ა. თედეევი), წულუკიძის (ა. ყუფარაძე), მესტიის (ბ. მჭედლიანი), ლენტეხის (მ. მუკბანიანი), საგარეჯოს (მ. ელერდაშვილი), გურჯაანის (ა. ჭუჭულაშვილი), მარნეულის (ო. ჯაფარიძე), ლაგოდეხის (ნ. მახაშვილი) სპორტკავშირებს წინადადება მიეცათ მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა ლატარიის ბილეთების ღირებულება მთლიანად იყოს შეტანილი ბანკში ა. წ. 1 სექტემბრისთვის.

პრეზიდიუმმა აღნიშნა კარგი მუშაობა თბილისის სპორტკავშირისა (თავმჯდომარე გ. რცხილაძე), რომელმაც ლატარიის ბილეთები სარეალიზაციოდ გამოიტანა ხალხმრავალ მოედნებზე, ქუჩებში და ამით სასურველ შედეგს მიაღწია.

გადაწყდა წახალისდეს კარგი ინიციატივა მახარაძის (თავმჯდომარე ო. კიშინსკი), ჩოხატაურის (დ. ჩხიკვაძე), ხობის (ა. მელიქია), აბაშის (ს. ტყებუჩავა), ქ. ტყიბულის (ვ. ოქრუაძე) სპორტკავშირების მუშაკებისა, რომელთაც გადაწყვიტეს ნაკისრი გეგმის შესრულების შემდეგ დამატებით გაასაღონ ლატარიის ბილეთების გარკვეული რაოდენობა.

## კაკულიამ დაამარცხა ჟოფრე

მოსკოვი, 13 აგვისტო. ჩოგბურთელთა აქ დაწყებული ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის ცენტრალური მატჩი გუშინ იყო თბილისელი თ. კაკულიასა და ფრანგი პ. ჟოფრეს შეხვედრა. კაკულიამ პირველი ხელი იოლად მოიგო (6:0), სამაგიეროდ, მომდევნო პარტია დათმო — 3:6. შემდეგ შეჯიბრება უფრო დაიძაბა. მესამე ხელი კაკულიამ მძიმე ბრძოლაში მოიგო — 7:5. მერე ფრანგმა კვლავ მოახერხა წონასწორობის აღდგენა — 6:4. ყოველივე მეხუთე ხელს უნდა გადაეწყვიტა. კაკულიამ იმარჯვა, პარტია მოიგო ანგარიშით 6:4 და ერთობ საპატიო წარმატებას მიაღწია საფრანგეთის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელთან. აღსანიშნავია, რომ პ. ჟოფრეს ჰყავს 3 ძმა, რომლებიც აგრეთვე ძლიერი ჩოგბურთელები არიან. მათ ხშირად ასე უწოდებენ: „4-ჟოფრე-4“.

გთავაზობთ ტურნირის პირველ ორი დღის გამართულ შეხვედრათა ტექნიკურ შედეგებს: ქალთა ერთეულები: ივანოვა (თბილისი) — ზინინა 6:3, 9:7, ჯანსონე — რიდე (გდრ) 7:5, 3:6, 6:3, დიბარი (რუმინეთი) — იზოპაიტისი 4:6, 6:4, 6:2; ვაჟთა ერთეულები: ცირონი (რუმინეთი) — რუბანოვი 6:4, 6:1, 3:6, 6:1. ჟოფრე — კაზაკევიჩი 6:2, 6:1, 6:1, რუიე (საფრანგეთი) — დიბცევი 7:5, 3:6, 6:4, 6:2, რუიე — ივანოვი 8:6, 3:6, 6:0, 6:3, ცირონი — პესჩანკო 6:4, 3:6, 6:3, 6:3.

## მოჭადრაკეთა X საერთაშორისო...

ქუთაისი, 14 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ, ვ. აბაშიძის სახელობის კულტურის სახლში, საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის X ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ასუჯრიან შაშში.

ტურნირში მონაწილეობს 4 ქვეყნის 13 მოშაშე: მსოფლიო ჩემპიონი ა. ანდრეიკო, ოსტატები ა. განტვარგი, თენგიზ ბარამიძე, 13 წლის ნ. მეშჩანსკი, ა. დუკლერი, ვ. მოგილიანსკი, ლ. ბელორუსი, ს. გულიევი (ყველა — სსრ კავშირი), ლ. ბონიფაჩინო (იტალია), ი. რეიტერი, კ. პიპელი, კ. ფარკევისერი (სამივე — პოლონეთი) და ლ. ვესენი (ბელგია).

შეჯიბრების მთავარი მსაჯია საქართველოს ასუჯრიანი შაშის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. იანკოვსკი.

# ჩემპიონის რთული გული

## ვეტერანები და ახალბედები

ნაკრების აბიტურიენტს, ოლიმპიურ აბიტურიენტს, ბევრი გამოცდა ელის, მაგრამ მათგან მთავარი — მისაღები გამოცდა მაინც შედეგია. თუ კარგი შედეგი მოიპოვე, თუ შენი ძალა გვაჩვენე, ესე იგი, გუნდშიც შეგიყვანენ. თუმცა შედეგი ჯერ კიდევ არაა შენი სრული დახასიათება. გამოცდები კიდევ შეგხვდება, მაგრამ ეს მერე.

შეგიყვანონ თუ არა გუნდში, ამას მწვრთნელები წყვეტენ. გეცხოვრება გუნდში თუ არა, ეს უკვე მწვრთნელების საქმე აღარაა. აქ მთავარია შენი ახალი მეგობრების აზრი. და თუ სიმართლე გინდა, ამას წყვეტენ ნაკრების ვეტერანები, მისი ძველი მკვიდრნი. მათ იციან, ისინი პატივს სცემენ ყველა კანონს, დაწერილსა თუ დაუწერელს და ამ კანონების ხელმყოფს არაფერს აპატიებენ.

მაგრამ, მოდით, ვიგულისხმოთ, რომ ყველა გამოცდა ჩაბარებულია და ნაკრებმა შინაურ კაცად მიგიღო. ეს კიდევ არ ნიშნავს შენს საბოლოო აღიარებას. აღიარება უნდა მოიპოვო, აღიარებაში გამოცდას არ აბარებენ.

და მაინც, ჩვენ გადავწყვიტეთ დღეს მოვაწყოთ თავისებური გამოცდა აღიარებაში.

გამომცდელი — იგორ ტერ-ოვანესიანი, გამოსაცდელი — ტინუ ლეპიკი.

გულახდილად გეტყვით, რომ ტერ-ოვანესიანმა არ იცოდა, სახელდობრ ვის აძლევდა თავის ეშმაკურ შეკითხვებს. არც ლეპიკმა იცოდა, თუ კითხვებს ტერ-ოვანესიანი იძლეოდა.

მაშ ასე, კითხვები და პასუხები.

*კითხვა:* რა მიგაჩნია სპორტში წარმატების მთავარ პირობად?

*პასუხი:* პირველ ყოვლისა შრომა, 90 პროცენტი შრომა, დანარჩენი — ტალანტი. ეს ასეა განსაკუთრებით ჩემთვის, რადგან ბავშვობაში სუსტი ვიყავი.

*კითხვა:* რას აირჩევდი: მებრძოლ სულისკვეთებას, კარგ ხასიათს, თვითდაჯერებას უკმარი მომზადების დროს, თუ კარგ მომზადებას და საერთო მძიმე განწყობილებას, უგუნებობას?

*პასუხი:* პირველს. ამას წინათ ერთ ასპარეზობაში გამოვდიოდი და მეგონა, კარგ ფორმაში ვარ-მეთქი. საბრძოლო სულისკვეთებას კი ვერ ვგრძნობდი. შეჯიბრება მხოლოდ საკვალიფიკაციო იყო და ჩემი გულგრილობა შეიძლება ამან გამოიწვია. შედეგი საშუალო ვაჩვენე. საერთოდ კი კარგ ფორმას, როგორც წესი, კარგი განწყობილებაც მოსდევს.

*კითხვა:* შენი აზრით, რომელ ცდაზე უფრო იოლია საუკეთესო შედეგის მიღწევა — პირველზე თუ ბოლოზე? რომელ ცდაზე ცდილობ მაქსიმალური შედეგის ჩვენებას?

*პასუხი:* კვალიფიკაციურ შეჯიბრებაში პირველი ნახტომი დასაზღვევია. თუ ეს ნახტომი იღბლიანი გამოდგა, მთელი ძალით ვხტები და თუ მეორეც კარგია, უკვე ტექნიკურ ნახტომზე ვფიქრობ. ფინალში კი (თუ მანამდე კარგად დავისვენე) მთავარია პირველი ნახტომი — ბოლო ცდაში ყველა თავისი ძალის მაქსიმუმს სდებს. პირადად მე გამოცდილი მაქვს, რომ ყველაზე უკეთ ბოლოსწინა ნახტომს ვასრულებ.

*კითხვა:* წვრთნის დროს ვისი უფრო გწამს, მწვრთნელისა თუ საკუთარი თავისა?

*პასუხი:* თუ მეცადინეობის დროს ვგრძნობ, რომ ყველაფერი რიგზეა, მწვრთნელს კი მაინც არ მოსწონს რაღაც, თუ იგი წვრილმან ხარვეზებს ჩასდევს, გულში არ ვეთანხმები. თუ მართლა უხეში შეცდომები მომივიდა და ნახტომიც ცუდი გამოდგა, მაშინ, რა თქმა უნდა, ყველაფერი ნათელია.

*კითხვა:* შეჯიბრების ძნელ წუთებში სხვისი დახმარება გჭირდება თუ თავად გარკვევას ცდილობ?

*პასუხი:* დიდ შეჯიბრებებში მწვრთნელი შენს გვერდით არ არის, მარტო ხარ შენს განცდებთან და იჭვებთან. მე ბალახზე ვწვები, თვალებს ვხუჭავ და ვცდილობ ყველაფერი დავივიწყო. სტანდარტული გამოთქმით, მთელი ძალის მობილიზებას ვცდილობ.

*კითხვა:* რა გირჩევნია ასპარეზობის წინ: კითხვა, შეჯიბრების ყურება, მარტო ხეტიალი თუ ამხანაგებთან ერთად სეირნობა?

*პასუხი:* სეირნობა, კინოს ნახვა, მოძრაობა, ერთი სიტყვით, ხალხში ყოფნა. ეს დღე წინასწარ არასოდეს დამიგეგმავს.

*კითხვა:* რაზე ცდილობ იფიქრო, როცა ნახტომის სტარტზე დგეხარ?

*პასუხი:* გონებით ვიმეორებ მომავალ ნახტომს, ძირფესვიანად ვარჩევ გარბენს, ნახტომს, დაშვებას. თუ ქარია, ისიც უნდა გაითვალისწინო. დიდი შეჯიბრებების წინ (როგორც ახლა, მაგალითად, ოლიმპიადის წინ) ფიქრობ იმაზე, რომ სწორედ ამ ნახტომმა უნდა გადაწყვიტოს ბევრი რამ.

*კითხვა:* ვინაა შენთვის მხტომელის იდეალი?

*პასუხი:* იგორ ტერ-ოვანესიანი. მასთან ერთად ხშირად გამოვსულვარ და ვიცი, რომ ნამდვილი მებრძოლია. ზოგჯერ იგი საუკეთესო ფორმაში არც არის, მაგრამ მაშინაც შეუძლია ძალის მოკრება, ერთი შეხედვით მიუღწეველის მიღწევა.

*კითხვა:* რა უფრო გაღელვებს: მოგებისა და კარგი შედეგის მოპოვების სურვილი თუ წაგების შიში?

*პასუხი:* თუ კარგი შედეგი ვაჩვენე, წაგებისა არ მეშინია. უფერული შედეგით გამარჯვებას დიდი სულიერი კმაყოფილება არ მოაქვს.

*კითხვა:* შეჯიბრების წინ კორესპონდენტები რომ გეკითხებიან, როგორ ფორმაში ხარ და რა შედეგის ჩვენებას აპირებო, სიმართლეს უპასუხებ თუ პასუხს თავს არიდებ ხოლმე?

*პასუხი:* გააჩნია, ვის ელაპარაკები. ამას წინათ ნორვეგიაში ერთ იქაურ ჟურნალისტს ვუთხარი, წაგებას არ ვაპირებ და 780 უნდა ავიღო-მეთქი. მან შეალამაზა ჩვენი საუბარი. მე კი მაინცდამაინც კარგი შედეგი ვერ ვაჩვენე და ინტერვიუ ცოტა ქედმაღლური გამოდგა. საერთოდ კი სიმართლის თქმა მირჩევნია.

*კითხვა:* ვთქვათ, შეჯიბრების წინ რაიმე საინტერესოს ნახვა შემოგთავაზეს და თან გაგაფრთხილეს, შეიძლება ცოტა დაიღალოო. რას იზამ, დაეთანხმები?

*პასუხი:* ამ შემთხვევაში დაღლილობა საშიში არაა. პირიქით, თუ რაღაც საინტერესომ გაგიტაცა და შინ დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი დაბრუნდი, უსათუოდ კარგად გამოიძინებ. ეს კი საჭიროა შეჯიბრების წინ.

*კითხვა:* ვთქვათ, დიდი ასპარეზობა ტარდება. მიუთითებ თუ არა შენს ამხანაგს შეცდომაზე, თუ მას ამ შეცდომის გამოსწორების შემდეგ შენი დამარცხება შეუძლია?

*პასუხი:* მართალი გითხრათ, დიდი შეჯიბრების დროს ამაზე საფიქრელად არც სცალია კაცს. მე არც კი ვუყურებ დანარჩენებს, მხოლოდ დიქტორს ვუგდებ ხოლმე ყურს. რაც შეეხება კარნახს, გუნდურ შეჯიბრებაში ეს კიდევ შეიძლება, პირად ასპარეზობაში კი ალბათ თავს შევიკავებ. მე რომ მკითხო, ეს უხერხულიც კია. მეტოქე იმ დროს ჩემზე ნაკლებ აღელვებული როდია და შეიძლება რჩევა სხვანაირად გაიგოს.

როცა ანონიმური პასუხები ვაჩვენეთ, იგორ ტერ-ოვანესიანმა თქვა:

—ეს კითხვები იმიტომ კი არ დამისვამს, რომ პასუხების მიხედვით მემსჯელა ჩემი ამხანაგის სიკარგესა თუ სიგლახეზე. მარტო ასეთი ანკეტის მიხედვით მსჯელობა მეტისმეტად ზერელე და უაზრო საქციელი იქნებოდა ჩემის მხრივ.

მე სულ სხვა მიზანი მქონდა: კიდევ ერთხელ დაფიქრება იმ მიზნით, რომ მეპოვა ერთი ყველაზე პატიოსნური პასუხი პირველ ყოვლისა ჩემთვის. ვიმეორებ, პატიოსნური, რადგან ჩვენ ხშირად ფორმალურ პასუხებს ვაძლევთ ჟურნალისტებს, გვინდა რაც შეიძლება მალე გავთავისუფლდეთ, დრო არა გვაქვს უფრო ღრმად დაფიქრებისა.

ყველა პასუხის გარჩევას არ მოვყვები, ავიღებ მხოლოდ პირველს. მას მიაჩნია, რომ სპორტში წარმატებისთვის პირველ ყოვლისა შრომაა საჭირო. ჩემი აზრით, საამისოდ მარტო შრომა არ კმარა.



პირველ ყოვლისა თამამი, შეუზღუდავი ოცნება უნდა შეგეძლოს. შემდეგ (და ეს ალბათ მთავარია) საჭიროა ნებისყოფა, რომელიც ამ ოცნებებს კონკრეტულ რეალობად აქცევს.

და, რა თქმა უნდა, შრომა, მაგრამ შრომა არა უბრალო. უნდა შეგეძლოს „წრთობა", უნდა შეგეძლოს დასვენება (სხვათა შორის, ესეც ხელოვნებაა). ბოლოს, საჭიროა ტექნიკის უწვრილმანესი დეტალების დახვეწა. და ეს ყველაფერი უნდა კეთდებოდეს შთაგონებით, მიზანდასახულად.

ერთი სიტყვით, ჩემპიონის გული უნდა გქონდეს, რთული გული.

ისე კი, თუ ვილაპარაკებთ ზოგადად პასუხებზე, ვფიქრობ, პაბუკის ბევრი შეხედულება ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ ჩამოყალიბებული. იგი თავის თავს ეძებს. ამავე დროს, ვერ იტყვი, რომ გაბედულება აკლდეს: მაგალითად, ახალგაზრდებიდან ბევრი როდი გაბედავს შეჯიბრების წინადღით მიიღოს მიპატიჟება რაიმე „საინტერესოს საძიებლად".

ბუნებრივია, მაინტერესებდა სახელდობრ რომელ მხტომელს შესთავაზეს ჩემი კითხვები. მგონი გამოიცანი: ტინუ ლეპიკი. შემიძლია გითხრათ, რომ ტინუ ნიჭიერი სპორტსმენია. მწამს, მას ჯერ კიდევ არ უჩვენებია თავისი საუკეთესო შედეგი...

• • •

ჩვენის მხრივ დავსძენთ: ტინუ ლეპიკისთვის უთუოდ სასარგებლოა ტერ-ოვანესიანის შეფასების შეტყობა.

**გ. აკოფოვი.**

• • •



სურათებზე: ზევით — ი. ტერ-ოვანესიანი ხტომის დროს; მარცხნივ — ტ. ლეპიკი.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

## ჩვენში პირველად

საგარეჯოში სამ დღეს გასტანა რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების I თამაშების პროგრამით გათვალისწინებულმა პირად-გუნდურმა ასპარეზობამ მექანიზატორთა მრავალჭიდში (ტრაქტორით ხვნაში). შეჯიბრების არბიტრები ითვალისწინებდნენ ნახნავის სისწორეს, სიღრმეს და, ბუნებრივია, დროს. გუნდური პირველობის შედეგები ორი ტრაქტორით (დტ-75 და მტზ-50) შესრულებული სამუშაოს მიხედვით ჯამდებოდა. სოფლის სპორტსმენებმა ამგვარი შეჯიბრება პირველად ჩაატარეს და მან ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია. „კოლმეურნის" ცენტრალურ საბჭოს ასპარეზობის ორგანიზებულად ჩატარებაში დიდი დახმარება გაუწია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

გუნდური I ადგილი არავის დაუთმეს თელაველებმა, რომლებსაც ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა ჰქონდათ — 8. II ადგილზე გავიდნენ წყალტუბოელები (10 ქულა), III — მასპინძლები (12), IV — სიღნაღელები (13).

პირადი პირველობა გათამაშდა როგორც დტ-75-ით, ისე მტზ-50-ით. დტ-75-ით ხვნაში პირველობა მოიპოვა საგარეჯოელმა შ. მამულაშვილმა. II ადგილი დაიკავა თელაველმა ვ. ნასყიდაშვილმა, III — წითელწყაროელმა თ. იაკობაშვილმა. მტზ-50-ით ხვნაში ყველას აჯობა გ. რევაზიშვილმა (ქარელი). II ადგილზე გავიდა ა. მაჩალაძე (წყალტუბო), III — ვ. ფროდიაშვილი (გურჯაანი).

პირადი შეჯიბრების პრიზიორები საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ძვირფასი საჩუქრებით დააჯილდოვა.

[illegible]

**ცხინვალი**

აქ ზეიმით აღნიშნეს ფიზკულტურელის საკავშირო დღე. ლენინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა ამხანაგური შეხვედრები ფრენბურთში. მასპინძელმა ვაჟებმა სძლიეს ლაგოდეხელებს — 3:1, ქალებმა მოუგეს გორელებს — 3:0. საინტერესო შეჯიბრებები გაიმართა საჭიდაო დარბაზში და სტადიონის მძლეოსნურ ბილიკებზე. ბევრი მაყურებელი დაესწრო ფეხბურთელთა მატჩს. ერთმანეთს შეხვდნენ „ბ" კლასის ოსტატთა გუნდთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფისა და აგარაკის ქუჩის ნორჩი ფეხბურთელები. თამაში დამთავრდა ფრედ—4:4.

**ვ. მელქოევი.**

## გაიცანით, უცხოელი ოლიმპიელია!

ამ გაზაფხულზე რიგაში შედგა ლატვიელ და შვედ მოკრივეთა ტრადიციული მატჩი. მატჩის დაწყებამდე ვესაუბრე შვეციის კრივის ფედერაციის გენერალურ მდივანს ინგვარ ვესტერს. კითხვაზე, მომავალ მატჩში ყველაზე მეტად ვისი იმედი გაქვთ-მეთქი, შვეციის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა უყოყმანოდ მიპასუხა: „რა თქმა უნდა, ჩელ ფრედრიკსონისა! თუ რატომ, ამას თქვენ ხვალ ნახავთ".

მართლაც, ფრედრიკსონმა დიდი უპირატესობით მოუგო გამოცდილ ა. კრიუკოვს და გამარჯვების ქულა შესძინა თავის გუნდს. 23 წლის შვედმა ოსტატმა შესანიშნავი კრივი გვიჩვენა: სწრაფი შეტევა, ვირტუოზული დაცვა, მსუბუქი მანევრები. მაგრამ მის საბრძოლო ხელწერაში შეიმჩნევა პროფესიული კრივის ელემენტები — აქცენტი მანოკაუტირებელ დარტყმაზე, დაბალი დგომი, აგრესიულობა. კრიუკოვმა პირველ რაუნდში უძლიერესი დარტყმა მიიღო და შეხვედრის ბოლომდე ველარ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება.

ამ ორთაბრძოლის შემდეგ ვესტერმა გამაცნო ბედნიერი გამარჯვებული: ფრედრიკსონმა არ დაუცადა ჩემს შეკითხვებს და სკანდინაველისთვის იშვიათი ტემპერამენტით გამოთქვამდა აღტაცებას საბჭოთა მოკრივეების წარმატების გამო. განსაკუთრებული სიმპათიით ლაპარაკობდა ოლიმპიურ ჩემპიონ ს. სტეპაშკინზე და ევროპის ჩემპიონ ვ. აგეევზე. „სტეპაშკინის დარტყმისა და საბრძოლო აზარტის აგეევის ტაქტიკურ სიბრძნესა და ანგარიშიანობასთან შერწყმა რომ შემეძლოს, მეხიკოში ოქროს მედალი უეჭველად ჩემი იქნებოდა", — გულახდილად მითხრა ფრედრიკსონმა.

— რას იზამთ, ოლიმპიური ჩემპიონი რომ გახდეთ?

ჩელმა დაუფიქრებლად მიპასუხა:

— ცოლს შევირთავ და კრივს მივატოვებ.

თურმე ფრედრიკსონი თავის საცოლეს, სტოკჰოლმელ მხაზველს, 20 წლის ანელატ ნილსონს დაპირებია, თუ მეხიკოდან ოქროს ოლიმპიური მედალი ჩამოვიტანე, ვიქორწინებთო. თუ ასე არ მოხდა, ანელატს კიდევ 4 წელიწადს მოუწევს ცდა.

— მაგრამ ანელატს დიდი შანსები აქვს ამ შემოდგომით გათხოვებისა, — ჩაერია საუბარში ვესტერი. — და ეს მარტო ჩემი პირადი აზრი როდია. თავად განსაჯეთ: ჩელმა ასამდე შეხვედრა ჩაატარა და ათჯერაც კი არ დამარცხებულა. 35 საერთაშორისო შეხვედრიდან მან 32 მოიგო. უმჩატეს წონაში მეხიკოში მას მხოლოდ ორი მრისხანე მეტოქე ეყოლება: საბჭოთა მოკრივე ვ. ზაპოროჟეცი და მექსიკელი რ. დელგადო — მეხიკოს წინაოლიმპიურ კვირეულში გამარჯვებული. თუ ამ ორი სპორტსმენის დამარცხებას შეძლებს, ოლიმპიური ჩემპიონი იქნება.

ფრედრიკსონის მწვრთნელია ყოფილი პროფესიონალი მოკრივე ჯ. პერსონი. თვითონ ჩელი პროფესიული კრივის წინააღმდეგაა განწყობილი. მისი აზრით, პროფესიულ რინგს სპორტსმენისთვის მოაქვს არა იმდენად დიდება და ფული, რამდენადაც ტრავმები და დასახიჩრება.

ფრედრიკსონი სწავლობს კოლეჯში, რომელიც დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს უშვებს. ერთი წლის შემდეგ იგი ამთავრებს კოლეჯს და პატარების მასწავლებელი გახდება. ჯერჯერობით კი მომავალი პედაგოგი გულმოდგინედ ესწრება ლექციებსა და ვარჯიშს.

ჩვენი საუბარი კვლავ სპორტულ თემაზე გადადის.

— როგორ გეგმავთ წვრთნას წინაოლიმპიურ პერიოდში?

— მწვრთნელის აზრით, ჩემთვის ახლა აუცილებელია ფიზიკური თვისებების ამაღლება, ამტანობის, სამი რაუნდის სრულ ტემპში ჩატარების უნარის გამომუშავება. თუ ამას შევძლებ, უფრო ადვილად შევეგუები მექსიკის მთიანეთის პირობებს და წარმატების მეტი შანსიც გაჩნდება. სპეციალისტების აზრით, აკლიმატიზაცია მეხიკოში დიდი პრობლემაა, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიო.

— ვის გამოყოფდით თქვენი ოლიმპიური გუნდიდან?

— 22 წლის ქვემსუბუქი წონის მოკრივეს რ. ხაგბერგს, რომელიც ბრძოლის მანერით ძალიან ჰგავს სტეპაშკინს. იგი ცაციაა. ხაგბერგის შეტევები მოულოდნელი და მწვავეა, მაგრამ მას არა აქვს ისეთი მძლავრი და ზუსტი დარტყმა მარცხენათი, როგორც ოლიმპიურ ჩემპიონს. ასეთი დარტყმის გამომუშავებაში ძალიან გვეხმარება სპეციალური სპორტული იარაღი, რომელიც საბჭოთა მწვრთნელებმა გამოიგონეს. ამ იარაღით ვარჯიშს მეც დიდ დროს ვუთმობ და, ვფიქრობ, არც უშედეგოდ — ჩემი ბოლო შეხვედრები, როგორც წესი, ფინალურ გონგამდე მთავრდებოდა.

— ბოლო კითხვა: რატომ გსურთ დატოვოთ კრივი, თუ ოლიმპიური ჩემპიონი გახდებით?

— ოლიმპიური ოქრო ყოველი მოყვარული მოკრივის სანუკვარი ოცნებაა. მაგრამ ჩვენში, შვეციაში, ოლიმპიადაში გამარჯვებული ან პრიზიორი, როგორც წესი, პროფესიონალებში გადადის. მე ასეთი პერსპექტივა ხელს არ მაძლევს. ჩემს საცოლეს ანელატს სურს მიხილოს ჯანმრთელი და უვნებელი. მეც სავსებით ვეთანხმები მას.

**ბ. ოლშევსკი,**
**სპორტის ოსტატი.**

# რინგზეა ჩელ ფრედრიკსონი

ფეხბურთი

# საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

● „ფეიქარი“ (წულუკიძე) — „სულორი“ (ვანი) 1:0. მსაჯი ო. ჩიქობავა (თბილისი).

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) 1:2. მსაჯი რ. ფანჯარაშვილი (თბილისი).

● „აერო“ (გალი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 4:0. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

თამაში მეტოქეებმა ერთობ უსისტემოდ დაიწყეს. შემდეგ თანდათან გამოიკვეთა მასპინძელთა უპირატესობა და აი, მე-15 წუთზე ანგარიში გახსნა ყოლბაიამ, ტაიმის ბოლომდე კი ანჯაფარიძემ მეორედ შეარხია სტუმრების კარის ბადე. თამაში შესვენების შემდეგაც მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, რომლებმაც კიდევ 2 ბურთი გაიტანეს (მიქვაბია).

● „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:1. მსაჯი გ. ჩალაბიანი (თბილისი).

პირველი ტაიმი ორმხრივი იერიშებით წარიმართა, მაგრამ ანგარიში არა და არ გაიხსნა. შესვენების შემდეგ პაშკურიშვილმა აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. იქვე რკინიგზელებმა განახორციელეს საპასუხო შეტევა, რომელსაც მოჰყვა კვანტალიანის საჯარიმო დარტყმა და ანგარიშიც გათანაბრდა.

● „ისანი“ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:0. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

● „მშენებელი“ (სიღნაღი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 0:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

● „ლაითური“ (მახარაძის რაიონი) — „კოლხეთი“ (ცხაკაია) 2:1. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

მატჩი სწრაფ ტემპში დაიწყო. შუა ტაიმში ლაითურელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და 36-ე წუთზე კვირკველიამ გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმში მასპინძლებმა უფრო გააძლიერეს შეტევა, გამუდმებით ბომბავდნენ მეტოქის კარს, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, ბურთი საკუთარ კარში მიიღეს (გოლის ავტორია ესებუა). თამაში თითქოს ფრედ უნდა დამთავრებულიყო, რომ 87-ე წუთზე კვირკველიამ გამარჯვების გოლი გაიტანა.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სინათლე“ (თბილისი) 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

* * *

წალენჯიხის „კოლმეურნეს“ მოგება ჩაეთვალა ყვარლის „დურუჯთან“ შეხვედრაში.

## I ჯგუფის II ქვეჯგუფი

### I ზონა

„მეტალურგი“ (რუსთავი) — „შირაქი“ (წითელწყარო) 6:1, „თრიალეთი“ (წალკა) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 0:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ვარძია“ (ასპინძა) 0:2.

### II ზონა

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 1:1, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:1, „დინამო“ (ოჩამჩირე) — „განთიადი“ (აბაშა) 0:0, „კოლხეთმშენი“ (ფოთი) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 7:2, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) 3:0.

## ზონალური გათამაშებანი

ბოლნისი — „აგრო“ (თბილისი) 2:5, ქარელი — თეთრი წყარო 3:1, „აგრო“ (თბილისი) — ქარელი 1:0, დმანისი — ბოლნისი 1:3, თელავი — თიანეთი 2:2, თიანეთი — ლაგოდეხი 4:2, ცაგერი — ლანჩხუთი 0:0, ლანჩხუთი — ზესტაფონი 3:1, ონი — ცაგერი 9:1.

ლაგოდეხის გუნდს წაგება ჩაეთვალა ახმეტელებთან, ზესტაფონს — მახარაძის კოლექტივთან.

## გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 13 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (თბილისი) | 25 | 16 | 7 | 2 | 51—14 | 39 |
| „კოლხეთი“ (ცხაკაია) | 26 | 13 | 9 | 4 | 49—26 | 35 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 26 | 13 | 9 | 4 | 43—25 | 35 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 26 | 11 | 12 | 3 | 32—18 | 34 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 27 | 13 | 6 | 8 | 37—23 | 32 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 27 | 11 | 10 | 6 | 34—30 | 32 |
| „აერო“ (გალი) | 26 | 11 | 9 | 6 | 29—25 | 31 |
| „სპარტაკი“ (ბორჯომი) | 24 | 9 | 11 | 4 | 33—22 | 29 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 26 | 10 | 9 | 7 | 34—31 | 29 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 26 | 9 | 10 | 7 | 39—26 | 28 |
| „სულორი“ (ვანი) | 26 | 11 | 5 | 10 | 26—24 | 27 |
| „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) | 27 | 9 | 6 | 12 | 23—40 | 24 |
| „მშენებელი“ (სიღნაღი) | 24 | 8 | 7 | 9 | 24—31 | 23 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 27 | 8 | 6 | 13 | 29—46 | 22 |
| „ლაითური“ (მახარაძის რაიონი) | 27 | 7 | 7 | 13 | 23—29 | 21 |
| „ისანი“ (თბილისი) | 26 | 6 | 8 | 12 | 21—32 | 20 |
| „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) | 26 | 6 | 8 | 12 | 22—35 | 20 |
| „სამცხე“ (აწყური) | 26 | 4 | 10 | 12 | 25—33 | 18 |
| „გარეჯი“ (საგარეჯო) | 25 | 6 | 6 | 13 | 24—41 | 18 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 25 | 5 | 7 | 13 | 16—29 | 17 |
| „არაგვი“ (მცხეთა) | 25 | 8 | 1 | 16 | 21—36 | 17 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 25 | 6 | 5 | 14 | 22—40 | 17 |

# ტურიზმის წარმტაცი სახეობა

ტურისტული ორიენტირება სპორტის შედარებით ახალი სახეობაა, მაგრამ მან უკვე მოიპოვა პოპულარობა. ჩვენში სისტემატურად ტარდება შეჯიბრებები ამ სახეობაში, ორჯერ კი მსოფლიო პირველობაც მოეწყო, სადაც წარმატება ფინელ და საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ.

ტურისტულმა ორიენტირებამ განსაკუთრებით სწრაფად მოიკიდა ფეხი ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში. ბალტიისპირელი სპორტსმენები საკავშირო სარბიელზეც სტაბილურ შედეგებს აღწევენ.

ჩვენი რესპუბლიკა ამ მხრივ საჭარბიელო მაჩვენებლებით ვერ დაიკვეხნის. ამიტომაა, რომ ამ ბოლო ხანს ტურისტულ ორიენტირებას დიდი ყურადღება ეთმობა. წლეულს ორჯერ ჩატარდა საქალაქო შეჯიბრებები, ხოლო ამას წინათ მარტყოფის მიდამოებში რესპუბლიკის პირად-გუნდური პირველობაც მოეწყო.

ვაჟთა პირად შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები თბილისის სამხატვრო აკადემიის გუნდის წევრებმა ა. შურღაიამ, ა. სიჭინავამ და გ. ლადუამ დაიკავეს. ქალებში ყველას აჯობეს ამავე გუნდის წევრებმა ზ. ბორცვაძემ და ნ. ინასარიძემ.

გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა თბილისის ტურისტული კლუბის ნაკრებმა (მწვრთნელი რ. ჩეკურიშვილი). თბილისის სამხატვრო აკადემიის კოლექტივი (მწვრთნელი ა. აბრამიშვილი), რომელიც შეჯიბრებაში არასრული შემადგენლობით ჩაება, II ადგილს დასჯერდა.

აღსანიშნავია წარმატება ლაგოდეხის გუნდისა, რომელმაც პირველად სცადა ძალა ამ სახეობაში. ლაგოდეხელებმა ჩამოიტოვეს ისეთი ძლიერი კოლექტივი, როგორც სოხუმის ნაკრებია. ეს წარმატება პირველ ყოვლისა გუნდის მწვრთნელის, ამ საქმის ენთუზიასტის ს. ბერიშვილის ნაყოფიერი მუშაობის შედეგია.



შეჯიბრების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო ზონალურ შეჯიბრებაში. ეს ასპარეზობა 17-18 აგვისტოს გაიმართება ბაკურიანის მიდამოებში შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ნაკრები გუნდების მონაწილეობით. ტურნირში უკონკურსოდ გამოვა კრასნოდარის მხარის ნაკრებიც.

შეჯიბრების მთავარ მსაჯად დანიშნულია უფელი არბიტრი გ. კორნილოვი. ტურნირის პირველი დღე დაეთმობა ორიენტირებას მოცემული მიმართულებით, მეორე დღე — ორიენტირებას ესტაფეტით.

**ო. ბოგოხიძე,**
**თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი.**

* * *

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი სპორტულ ორიენტირებაში, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთწლიანი სტუდიის მსმენელი ზ. ბორცვაძე.

ფოტო ა. აბრამიშვილისა.

# ტრადიციას არ ღალატობენ

ლენინგრადში დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა მოზარდ ჩოგბურთელთა შორის. ეს შეჯიბრებები უკვე 14 წელია ტარდება და ამ ხნის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკის გუნდს (სამწუხაროდ, ნაკრებში, როგორც წესი, მუდამ ყველა თბილისელია) მხოლოდ ერთ ტურნირში არ მიუღია მონაწილეობა. ჩვენმა წარმომადგენლებმა 11-ჯერ მოიპოვეს პირველობა, ერთხელ კი II ადგილზე გავიდნენ. გუნდმა წლეულსაც წარმატებით იასპარეზა და მეთორმეტედ დაისაკუთრა გამარჯვება.

პირველი მატჩი თბილისელებს ლენინგრადელებთან ჰქონდათ და გაიმარჯვეს დამაჯერებელი ანგარიშით — 10:3. ნახევარფინალში ჩვენებმა დაამარცხეს უზბეკეთის გუნდი — 10:5.

ძალიან დაძაბული გამოდგა ფინალური შეხვედრა აზერბაიჯანის ნაკრებთან. გადამწყვეტ უპირატესობას ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია და ყველაფერი მატჩის ბოლოს გაირკვა. თბილისელებმა გაიმარჯვეს მინიმალური ანგარიშით — 9:8.

მოსკოველები III ადგილს დასჯერდნენ.

თბილისელი ჩოგბურთელებიდან პირადი პირველობა მოიპოვეს მ. ელერდაშვილმა (უფროსი ასაკის გოგონათა ერთეულებში), ვ. აბაშკინმა (უფროსი ასაკის ჭაბუკთა ერთეულებში). აბაშკინმა ა. ჩხენკელთან ერთად ჭაბუკთა წყვილების შეჯიბრებაშიც გაიმარჯვა. საშუალო ასაკის ჭაბუკებში II ადგილი დაიკავა გ. აბრამიძემ.

ჩვენი გუნდი მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა ძმებმა არჩილ და ვანო ელერდაშვილებმა.

**ფ. ლეონიძე.**

# დაწინაურდა ბ. გურგენიძე

**ტალინი, 14 აგვისტო.** სსრ კავშირის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატის აქაურ ნახევარფინალში გათამაშდა 7 ტური. შეჯიბრებას ლიდერობს საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი ბ. გურგენიძე — 5 ქულა. ოსტატები ვ. მიკენასი (კაუნასი), გ. ბორისენკო (ტაშკენტი), ი. კიარნერი (ტალინი) და ი. კლოვანი (რიგა) ლიდერს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან.

**გომელი,** 14 აგვისტო. (ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ვაჟთა აქ მიმდინარე 36-ე საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირში უკვე 3 ტური გათამაშდა. დაწინაურდნენ საერთაშორისო ოსტატები ლუტიკოვი (მოლდავეთი), ბაგიროვი (აზერბაიჯანი), ოსტატები კაპენგუტი, კუპრეიჩიკი (ორივე — ბელორუსია), ლ. გრიგორიანი (სომხეთი) და ოსტატობის კანდიდატი მალისოვი (ბელორუსია).

ტურნირში თამაშობს ორი თბილისელი ოსტატობის კანდიდატი — ზ. მიქაძე და ა. იზვოზჩიკოვი. მიქაძეს 1 ქულა აქვს (ერთი წაგება, ორი ყაიმი), იზვოზჩიკოვს — 0.

**ტალინისა და გომელის ნახევარფინალებში**

შაშრაკი

# მხოლოდ სამი პარტია

**დუშეთი,** 14 აგვისტო (**ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.**). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა აქ მიმდინარე პირველობის VI ტურში, რომელიც დღეს შედგა, მხოლოდ 3 პარტია დამთავრდა: ზ. შენგელიამ (სამტრედია) უკვე მე-14 სვლაზე აიძულა ე. ლომიძე (ქუთაისი) დანებებულიყო, ს. ივანოვამ მოუგო ც. სიორდიას (ცხაკაია), ხოლო მ. ჩომახიძემ — კ. პილცერს.

გადადებულ პოზიციებში ნ. ალექსანდრიას ც. კახაბრიშვილთან ზედმეტი ფიგურა აქვს, ხოლო თ. ხუგაშვილს ლ. კოროშინაძესთან — ზედმეტი ეტლი. მძიმე მდგომარეობაში გადადო პარტია ც. კობაიძემ ქ. გოგიავასთან: მას ორი პაიკი აკლია.

6 ტურის შემდეგ ლიდერებად კვლავ რჩებიან ალექსანდრია და ხუგაშვილი — 5-5 (1-1).

# საჭირო იყო მეტი ყურადღება

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის კიროვისა და ოქტომბრის რაიონებმა პიონერთა ბანაკების საქალაქო სპარტაკიადაში გუნდები არ გამოიყვანეს, ასპარეზობა 400-ზე მეტი მონაწილით მაინც მასობრივი გამოდგა. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში 9 ბანაკი ჩაება. მსაჯთა კოლეგია მონდომებით მოეკიდა საქმეს. უყურადღებობა არც კომკავშირის რაიკომებსა და ბანაკების ხელმძღვანელებს უნდა გამოეჩინათ, მაგრამ ისინი ბაზებზე იშვიათი სტუმრები იყვნენ.

პირველი მაისის რაიონის ბანაკ „აისის“ სპორტსმენებმა ვადამდე მიატოვეს ასპარეზი და მძლეოსანთა შეჯიბრებაში მონაწილეობა აღარ ისურვეს. ზოგიერთი ბანაკი აშკარად მოუმზადებელი გამოვიდა სარბიელზე.

— საჯერმისოდ შეჯიბრების ორგანიზატორებმა დებულება უნდა შეცვალონ. საქმე ისაა, რომ ბანაკებში ბავშვების 2 ნაკადი ისვენებს, სპარტაკიადა კი მხოლოდ ერთი ნაკადისთვის მოეწყო, — გვითხრა სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა ჯ. ბველესიანმა.

შეჯიბრებაში სხვებზე უკეთ გამოვიდა 26 კომისრის სახელობის რაიონის ბანაკი „მერცხალი“. ამ ბანაკის ნორჩმა სპორტსმენებმა ჩემპიონობა მოიპოვეს ფრენბურთში (გოგონები და ჭაბუკები), კალათბურთში (გოგონები), მძლეოსნობასა (გოგონები) და ჭადრაკში. მაგიდის ჩოგბურთში გაიმარჯვა „ჩირაღდანმა“ (ლენინის რაიონი), შაშში — „ცისარტყელამ“ (26 კომისრის რაიონი). „ორლიონოკის“ (ლენინის რაიონი) ჭაბუკებს მძლეოსნობასა და კალათბურთში ხვდათ პირველობა.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. „მერცხალი“ (21 საჯარიმო ქულა), 2. „ორლიონოკი“ (32), 3. „ჩირაღდანი“ (35).

**თ. გაჩეჩილაძე.**

* * *



სურათზე: ფრენბურთში ერთმანეთს ხვდებიან „მერცხალი“ (26 კომისრის რაიონი) და „სინათლე“ (პირველი მაისის რაიონი).

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ბრძოლა დაიწყო

**გომელი,** 14 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ხელბურთში „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის მონაწილე გუნდები ორ-ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ. ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გასული კოლექტივები შეხვდებიან ფინალურ ოთხეულებს, სადაც საბოლოოდ გათამაშდება საპრიზო ადგილები.

ვაჟთა პირველ ქვეჯგუფში მოხვდნენ მინსკის, მოსკოვის, ზაპოროჟიეს, ფრუნზეს და ლენინგრადის გუნდები, მეორე ქვეჯგუფში — თბილისის, ტაშკენტის, ერევნის, ბაქოს, კრასნოდარისა და ტაგანროგის ხელბურთელები.

ქალთა პირველ ქვეჯგუფში ითამაშებენ ტაშკენტელები, ჩერკასელები, ლენინგრადელები, ფრუნზელები, მინსკელები და თბილისელები, ხოლო მეორეში — მოსკოველები, სვერდლოვსკელები, კიეველები, ერევნელები და კრასნოდარსკელები.

გუშინ გაიმართა I ტურის მატჩები. შედეგები ასეთია: ვაჟები. ერევანი — ტაგანროგი 8:17, კრასნოდარი — ბაქო 24:19, ფრუნზე — ლენინგრადი 21:23, მოსკოვი — ზაპოროჟიე 25:23, თბილისი — ტაშკენტი 16:17. ქალები. თბილისი — ტაშკენტი 16:5, ერევანი — სვერდლოვსკი 9:29, ჩერკასი — ფრუნზე 16:12, კიევი — კრასნოდარსკი 15:7, მინსკი — ლენინგრადი 17:7.

**ჯ. აბაიშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

# იუგოსლაველებთან ჭიდილში

როგორც ვიუწყებოდით, შაბათს ესპანეთის ქალაქ ვიგოში დამთავრდა ევროპის იუნიორთა III ჩემპიონატი კალათბურთში. საბჭოთა ვაჟების გუნდმა — ამ გათამაშების ორგზის ლაურეატმა ამჯერადაც დაამტკიცა თავისი უძლეველობა და იუგოსლაველებთან ჭიდილში მესამედ მოიხვეჭა კონტინენტის ჩემპიონის სახელი. ოქროს მედლებისთვის ფინალურ მატჩში სსრ კავშირის გუნდმა მეტოქე ანგარიშით 82:73 (42:34) დაამარცხა. ამ შეხვედრაში საბჭოთა ნაკრებს ქულები მოუტანეს: სალუმეტსმა — 33, სიდიაკინმა — 20, გოლუბკოვმა — 10, შუუშინმა — 6, ბელოვმა — 5, პატკაუსკასმა — 4, ვასიუტინსკიმ და ე. კოვალენკომ — 2-2.

III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში იტალიელებმა დაამარცხეს თურქეთის ნაკრები — 53:44 (28:20).

V ადგილი წილად ხვდა მასპინძელთა გუნდს (ესპანელებმა მოუგეს შეხვედრა საბერძნეთის წარმომადგენლებს — 78:63), VII — ისრაელის ნაკრებს (დაამარცხა ფინელები — 83:75), IX — პოლონელებს (აჯობეს ჩეხოსლოვაკიელებს — 81:75), XI — [illegible] — 64:57).

საბჭოთა გუნდს ხელმძღვანელობდნენ უფროსი მწვრთნელი ს. ბაშკინი და მწვრთნელი ი. ბირიუკოვი.

# ოლიმპიური საზრუნავი

## საზღვარგარეთის პრესის მიმოხილვა



მომავალ ოლიმპიურ თამაშებს დღეს უცხოეთში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს არა მარტო სპორტული, არამედ ზოგადპოლიტიკური პრესაც.

ბუნებრივია, პროგნოზების ნაკლებობა არ იგრძნობა. ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ რამდენიმე მოსაზრება, დაფუძნებული ციფრებსა და ფაქტებზე. ავიღოთ, მაგალითად, მძლეოსნობა. აქ მიმომხილველთა დიდი უმეტესობა ოქროს მედლებს უწინასწარმეტყველებს ჩვენს თანამემამულეებს ი. ლუსისს და რ. კლიმს. ფავორიტთა რიცხვშია სახელგანთქმული ეთიოპიელი მარათონელი აბებე ბიკილაც. ეთიოპიის იმპერატორის გვარდიის ლეიტენანტი ახლა გფრ-შია სამკურნალოდ, მაგრამ იგი მკაცრად იცავს რეჟიმს, რომელიც ორ დღეს შიმშილობას ითვალისწინებს: „ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ წონასთან დაკავშირებით რაიმე უსიამოვნება არ შემხვდეს“, — ამბობს ბიკილა.

მთელ სპორტულ სამყაროს აინტერესებს, გამოვა თუ არა მეხიკოში მსოფლიო რეკორდსმენი საშუალო მანძილებზე რბენაში ჯიმ რაიანი. რამდენიმე დღის წინ რაიანმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ოლიმპიადაში იგი 800 და 1500 მეტრზე ისპარეზებს. მას იმედი აქვს, პიტერ სნელის მიერ ტოკიოში დამყარებულ რეკორდს გაიმეორებს. შეძლებს თუ არა ამას რაიანი, რომელმაც ახლახან ავადმყოფობა გადაიტანა? ობიექტურად მას, რა თქმა უნდა, სრული უფლება აქვს ასეთი პრეტენზიისა.

რონ კლარკმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მეხიკოს ოლიმპიური თამაშების შემდეგ სარბენ ბილიკზე აღარ გამოვა. ასეთი განცხადება მისგან ადრეც ბევრჯერ გაგვიგონია, მაგრამ, როგორც ჩანს, ამჯერად მისი სიტყვები უფრო ახლოა „მწარე სიმართლესთან“ (ასე წერს ერთ-ერთი მიმომხილველი). კლარკმა თქვა, რომ სპორტისა და მუშაობის, ბიზნესის შერწყმა უაზრობაა ჩვენს ბობოქარ საუკუნეში. სხვათა შორის შეიძლება გავიხსენოთ, რომ სწორედ მამუკმა კლარკმა აანთო მელბურნის XVI თამაშების ოლიმპიური ცეცხლი.

ნამდვილი გაფთრებით (ამაზე ზუსტი სიტყვის მოძებნა ძნელია) ემზადებიან მეხიკოსთვის ამერიკელები. საკმარისია ითქვას, რომ 100 მეტრზე რბენაში ოლიმპიური ნორმა — 10,3 ამერიკაში უკვე 56 კაცმა შეასრულა, 200 მეტრზე რბენისა (21,0) — 45, 400 მეტრზე რბენისა (46,8) — 39 კაცმა. ეს ძალიან მაღალი მაჩვენებლებია.

ამერიკელებს კვანტის გამოდებას უპირებენ იამაიკის სპრინტერები. ერთ დროს სახელგანთქმული მორბენალი ჰერბერტ მაკკინლი გუნდს წვრთნის ესტაფეტაში 4×100 მეტრზე და 39,0-ს უმიზნებს. საქმეში ჩახედული ხალხი ამტკიცებს: თუ ეს გეგმა შესრულდა, იამაიკის გუნდი ოქროს მედლებს მოიპოვებს.

დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია სამხრეთაფრიკელი მორბენლის პოლ ნეშის ამბავმა. ცნობილია, რომ აშკარა რასიზმის ქვეყანა — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა მექსიკაში ვერ გამოვა. მაგრამ ნეში ბრიტანეთის კუნძულებზე დაიბადა და ამ საბუთით ინგლისის ოლიმპიურ გუნდში მისი შეყვანა სურდათ. უნდა შევნიშნოთ, რომ თვითონ ინგლისელი ოლიმპიელები ამ გადაწყვეტილებას ენთუზიაზმით არ შეხვდნიან. როგორც ჩანს, ნეში ამას მიხვდა და სახალხოდ განაცხადა, მექსიკის ბატალიებში მონაწილეობას არ მივიღებო. მიზეზად მან დაასახელა ხანგრძლივი ავადმყოფობა და ამის გამო სათანადო სპორტული ფორმის დაკარგვა. ცხოვრება ასე უხდის სამაგიეროს ახალგაზრდა სპორტსმენს, რომელსაც შესაძლოა არავითარი ბრალი არ მიუძღოდეს თავისი ქვეყნის მთავრობის აპარტეიდის პოლიტიკაში.

თავისთავად იგულისხმება, რომ უწინდებურად გაცხოველებულ კამათს იწვევს აკლიმატიზაციის პრობლემა, თუმცა ამ საკითხზე ლაპარაკისთვის დიდი დრო აღარ დარჩა. საქმე უკვე პრაქტიკის სფეროში გადადის. ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპმა“ ამ დღეებში გამოაქვეყნა დიდი რეპორტაჟი ფონ-რომიოს სამთო-საწვრთნელი ბანაკიდან, სადაც ბოლო წინაოლიმპიურ შეკრებაზეა ქვეყნის ეროვნული გუნდი (300-მდე კაცი). საინტერესოა, რომ აკლიმატიზაციას გადიან... ცხენებიც, (გარდა იმ ცხენებისა, ხუთჭიდელებს მეხიკოში რომ მისცემენ).

ფონ-რომიო მთელი სპორტული ქალაქია კეთილმოწყობილი სასტუმროებით, აუზებით, ტარტანის ბილიკებით. იგი პირენეის მთებში მდებარეობს. პრესის ცნობით, იქ 1-29 სექტემბერს სტუმრად ჩავა პოლონეთის ოლიმპიური დელეგაცია (33 მძლეოსანი, 8 ტანმოვარჯიშე, 6 მოცურავე), 9-27 სექტემბერს ფონ-რომიოს ეწვევიან ბელგიელები (მათ შორის, გასტონ როელანტსიც), ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ტუნისისა და სხვა ქვეყნების სპორტსმენთა ჯგუფები. მაღალმთიანი ბანაკები მუშაობს შვეიცარიაშიც, კერძოდ, მაკოლინსა და სანკტ-მორიცში. სხვათა შორის, ფიქრობენ, რომ მთების ქვეყანა — შვეიცარია მეხიკოში საკმაოდ ხალხმრავალი დელეგაციით იქნება წარმოდგენილი (80 მონაწილე და 20 ხელმძღვანელი). აქვე აღვნიშნავთ, რომ ოლიმპიური გუნდების მზადებაში მთავარია ტენდენცია: გაგზავნონ მეხიკოში მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთაც ექვსეულში მოხვედრის შანსი მაინც აქვთ. აქედან გამომდინარე, პოლანდიელები, მაგალითად, სასპარეზოდ 10-15 კაცზე მეტს არ გზავნიან. მათ იმედი აქვთ თავიანთი ცნობილი მოცურავის ადა კოკის გამარჯვებისა, ამას გარდა, იმედოვნებენ წარმატებას მძლეოსნობის ცალკეულ სახეობებშიც.

მექსიკელები, რა თქმა უნდა, ყველაზე უკეთეს პირობებში არიან. ისინი თამაშებისთვის ემზადებიან სიერა-ნევადის მთებში, ტახოს ტბის ახლოს (ინდიელთა ენაზე ეს ასე ითარგმნება: „წყალი ზეცის ახლოს“). ბაზა ზღვის დონიდან 2100 მეტრზეა განლაგებული. ტემპერატურა აქაც აბსოლუტურად ისეთივეა, როგორიც მექსიკის დედაქალაქში. იგივეა ფლორა და, რაც მთავარია, იგივეა დროის სარტყელი. ბაზა უკვე ორი წლის წინ აიგო, 15 ივლისიდან კი იქ ვარჯიშობს ამერიკის შეერთებული შტატების თითქმის მთელი გუნდი. თუმცა, ოფიციალურად ეს არდადეგებად ითვლება. საბანაკო ქალაქ ფალსტაფში მთელი სექტემბრის გატარებას აპირებენ გფრ-ის, შვეციისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს გუნდები.

პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ოლიმპიური თამაშების, თუ შეიძლება ითქვას, ტექნიკურ მხარეს. გადავხედოთ ინგლისური გაზეთის „მორნინგ სტარის“ კორესპონდენტის რეპორტაჟს მეხიკოდან. კორესპონდენტი წერს, რომ მეხიკოში გამოყენებული იქნება უაღრესად თანამედროვე აღჭურვილობა. მაგალითად, ცურვაში გამარჯვებულს მაყურებლები გაიცნობენ დროის განსაკუთრებული აღმნიშვნელის წყალობით. როცა მოცურავე ხელით შეეხება აუზის კედელში ჩასმულ ფირფიტას, ელექტროტაბლოზე, სადაც ყველა მონაწილის გვარია აღნიშნული, სინათლე აინთება. იმავე მოცურავეების, მძლეოსნების, ნიჩბოსნების, ველოსიპედისტების შეჯიბრებათა შედეგებს მაყურებლები გიგანტური საათების მეშვეობით შეიტყობენ. ისრები გაჩერდება მაშინვე, როგორც კი გამარჯვებული ფინიშის ხაზს გადაკვეთს. დრო უაღრესი სიზუსტით (წამის მეასედამდე) იქნება ნაჩვენები.

„ამიერიდან აღარ შეიძლება მოხდეს არავითარი გაუგებრობა გამომთვლელ-ელექტრონული მანქანების გამო“, — კატეგორიულად გამოაცხადეს იმ ფირმის წარმომადგენლებმა, რომლებმაც მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის დადგეს მოწყობილობა. (აას-ი).

# ფულის სიყვარულით...

ამერიკელმა აკრობატმა ბეტი ფოქსმა ნიუ-იორკის ცირკში გამოსვლის წინ გადაწყვიტა თავად გაეწია რეკლამა საკუთარი ხელოვნებისთვის. ამ მიზნით მან მეტისმეტად სარისკო ნომერი აირჩია. აი, ფოქსი ქალაქის ერთ-ერთი ცათამბჯენის მე-18 სართულის ფანჯარაზე დამაგრებულ პატარა ბაქანზე ხტება.

35 წლის პატრიკ ბერნარდის პროფესია შორს მანძილზე პარაშუტით ფრენაა. ავტომანქანაზე გამობმული პარაშუტით მან საათში 60 კმ სისწრაფით გადაუარა ელისეს მინდვრებს პარიზში. სიმაღლე 35 მეტრი იყო. უახლოეს ხანში ბერნარდი აპირებს პარაშუტით გადაუფრინოს... ატლანტის ოკეანეს.

მართლაც, რას არ ჩაიდენს კაცი რეკლამისა და ფულის გულისთვის!

ფოტო „ხან“ — აას-ისა და „დეილი მირორ“ — აას-ისა.





სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ გამოუშვა საფოსტო ნიშნების სერია, რომელიც მეხიკოს მომავალ XIX ოლიმპიურ თამაშებს მიეძღვნა.

ფოტო ვ. ხუხლაევისა. (საქდესი).




◆ ციურიხი, 14 აგვისტო. ფიფა-ს საშტაბო ბინაში გამართული კენჭისყრის შემდეგ ცნობილი გახდა ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის ჯგუფების შემადგენლობა. I ჯგუფი: მექსიკა, კოლუმბია, საფრანგეთი, გვინეა; II ჯგუფი: ესპანეთი, ბრაზილია, ნიგერია, იაპონია; III ჯგუფი: უნგრეთი, სალვადორი, მაროკო, ისრაელი; IV ჯგუფი: ჩეხოსლოვაკია, გვატემალა, ბულგარეთი, ტაილანდი. ოლიმპიური ტურნირი ისეთივე სისტემით ჩატარდება, როგორც მსოფლიო ჩემპიონატი: თვითეული ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი მეოთხედფინალში გავა.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### გუშინ... I „ა“ ჯგუფი

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩები.

თბილისის დინამოელებს გასვლითი მატჩი ჰქონდათ კიროვაბადის თანაკლუბელებთან. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0. გოლები გაიტანეს რეხვიაშვილმა (საკუთარ კარში) და აბდულაევმა.

ქუთაისის „ტორპედო“ მასპინძლობდა მოსკოვის „ლოკომოტივს“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა:

„არარატი“ — „ნეფტჩი“ 4:1.

ასკ (როსტოვი) — „სპარტაკი“ 5:2.

„დინამო“ (კიევი) — „პახტაკორი“ 2:0.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ზენიტი“ 3:0.

„ჩერნომორეცი“ — „კაირატი“ 2:0.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.




საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზი

(ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ)

19-20 აგვისტო

წყალბურთის

საერთაშორისო ტურნირი

მონაწილეობენ: ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, ჰოლანდიის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

შეჯიბრების მთავარი მსაჯია საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ზ. ფირსოვი (მოსკოვი). იმსაჯებენ საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები ჟ. ბოუენსი (ბელგია), მ. მანგილოტი (ესპანეთი), ჰ. გიურტსენი (ჰოლანდია) და სხვ.

საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ) იმუშავებენ ფასიანი სააბონემენტო გამაჯანსაღებელი ჯგუფები ცურვაში.

აბონემენტები იყიდება ყოველდღე 9-დან 12 საათამდე და 14-დან 17 საათამდე. ცნობებისთვის მიმართეთ დირექციას. ტელეფონი 22-61-00.


ИНДЕКС 66418 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 07686